საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება № 704

ქ. თბილისი, 2008 წ. 14 08

საგანმანათლებლო ობიექტებზე დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში (სკოლები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტები და სხვ.) არსებული ადმინისტრაციების ხელმძღვანელთათვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "მ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საგანმანათლებლო ობიექტებზე დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში (სკოლები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტები და სხვ.) არსებული ადმინისტრაციების ხელმძღვანელთათვის თანდართული ინსტრუქცია.
2. ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეგიონული კოორდინაციის დეპარტამენტს.

მინისტრი გიორგი ნოდია

ინსტრუქცია

საგანმანათლებლო ობიექტებზე, დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში (სკოლები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, უნივერსიტეტები და სხვ.) არსებული ადმინისტრაციების ხელმძღვანელთათვის

ინსტრუქცია ითვალისწინებს საგანმანათლებლო ობიექტების ხელმძღვანელთათვის სხვადასხვა სახის რეკომენდაციებისა და ვალდებულებების განსაზღვრას უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენებით გამოწვეული პრობლემების (ობიექტებში დევნილთა შესახლება, მათთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა, დევნილთა საჭირო ინფორმაციით, საკვებით, პირველადი მოხმარების საგნებით, მედიკამენტებით და სხვ. უზრუნველყოფა) დაძლევის მიზნით.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით ყველა საგანმანათლებლო ობიექტის ხელმძღვანელი ვალდებულია:

1. შეწყვიტოს შვებულება და გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე, ასევე გამოიძახოს შვებულებიდან ის პირები (ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი და სხვ.), რომელთა სამუშაო ადგილზე ყოფნა აუცილებელია შენობის დევნილთა მისაღებად მომზადებისთვის, დევნილთა ნორმალური საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფისთვის;
2. მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოს დევნილთა შენობაში ორგანიზებული განთავსება და დაუყოვნებლივ მიაწოდოს ამის შესახებ ინფორმაცია შესაბამის რესურსცენტრს;
3. შენობის ნორმალური ფუნქციონირებისთვის და დევნილთა დახმარებისთვის შექმნას ადმინისტრაციული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მშობლები და შენობაში განთავსებული დევნილები;
4. შენობაში დააწესოს ადმინისტრაციის სადღეღამისო მორიგეობა;
5. მაქსიმალურად იზრუნოს დევნილების ნორმალური საცხოვრებელი გარემოთი, პირველადი მოხმარების საგნებით, მედიკამენტებით, საკვებით უზრუნველყოფაზე, რისთვისაც ორგანიზება გაუკეთოს დევნილთათვის ადმინისტრაციის, პედაგოგების და მოსწავლეთა ოჯახების მხრიდან ჰუმანიტარული მისაღები საჭირო დახმარების ადმოჩენის ღონისძიებებს;
6. რეგულარულად იძიებდეს და ფლობდეს ინფორმაციას სხვადასხვა სახელმწიფო და სხვა ტიპის ორგანიზაციებში დევნილთათვის დახმარების

თაობაზე, ამ ინფორმაციას აწვდიდეს დევნილებს, ასევე ორგანიზებას უკეთებდეს დახმარების მის გამგებლობაში არსებულ შენობაში განთავსებულ დევნილთათვის მიწოდებას;

7. იზრუნოს დევნილთა პრობლემების იდენტიფიცირებაზე და ამის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი ორგანოებისთვის მიწოდებაზე, რისთვისაც აქტიურად უნდა ითანამშრომლოს შესაბამის რესურსცენტრთან, გამგეობასთან, სხვა სახელმწიფო უწყებებთან;
8. გააძლიეროს შენობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სხვადასხვა ფასეულობების, საბულალტრო და სხვა მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაციის დაცვა, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს კომპიუტერული ტექნიკის, ძვირფასი ნივთების და დოკუმენტების დაცულ ადგილას განთავსება;
9. მძიმე სოციალური ფონის განეიტრალების მიზნით ადგილზე ხელი შეუწყოს სხვადასხვა სახის (სპორტული, შემოქმედებითი, ინტელექტუალური) ღონისძიებების ორგანიზებას.